ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
28
ივნისი
№77 (10314)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## პრესა: დემოკრატიზაციის ერთგულების ნიშნით!

## ვუპასუხოთ დროის შეკვეთას

დღეს, როცა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირეული გარდაქმნები მიმდინარეობს, როცა ხდება ყალბი ღირებულებების გადაფასება და ახალი, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისათვის ბრძოლა, პრესის ფუნქცია და როლი ერთიორად იზრდება. გაზეთი მოვალეა კვლავაც ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს, სრული ობიექტურობით გააშუქოს ჩვენს სინამდვილეში მიმდინარე მოვლენები, თავი შეიკავოს ყავლგასული იდეოლოგიური დოგმებით მათი შეფასებისაგან. პრესაში მშრომელები ხედავენ იმ ორგანოს, რომლის მეშვეობითაც უნდა გამოიხატოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესები, ზება ფართო სპექტრით უნდა წარმოვაჩინოთ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პოზიციები, შეხედულებები. ყოველივე ამის გაშუქება ჟურნალისტისაგან თხოვს სათანადო ცოდნას, კვალიფიკაციას, ალღოსა და გემოვნებას. დავაკვირდეთ ჩვენი გაზეთის ბოლო პერიოდის ნომრებს. მასში სულ უფრო მეტად იბეჭდება ის მასალები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის შემდგომი აღმავლობის აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება. გამოჩნდნენ ახალი ავტორები, რომელთა კომპეტენცია და მამულიშვილური გზნება ეჭვს არ იწვევს.

გარკვეულწილად იმატა წერილებისა და კორესპონდენციების რაოდენობამ ადგილებიდან. მაგრამ ეს მაინც ხავსებით უმნიშვნელოა დღევანდელი მღელვარე ყოფის ფონზე. საკითხებისა და პრობლემებისადმი დამოკიდებულება, ინტერესი მეტი სიმძაფრით უნდა გამოიკვეთოს. სწორედ მუშსოფლკორებისაგან მოელის რედაქცია ადგილებზე მოუგვარებელი დემოგრაფიული, ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე მწვავე, მამხილებელ მასალებს.

აქტუალური, სადღეისო თემატიკაზე მასალებს ყოველთვის ხალისით დაუთმობს ადგილს ჩვენი გაზეთი. მაგრამ ასეთ დროს საჭიროა მუდამ გვახსოვდეს პასუხისმგებლობა მკითხველთა წინაშე. მთავარია მკაცრად ვიცავდეთ ფაქტების სიზუსტეს, რამეთუ მასალები, რომელთაც ჩვენ ვაქვეყნებთ, მომავალი ისტორიკოსებისათვის უტყუარი წყაროა. არ არის საჭირო ნაკლოვანებების გამუქება, დრამატიზირება, სენსაციების ჩხრეკა. გონიერი ჟურნალისტი ყოველთვის მიმართავს პოზიტიურ კონსტრუქციულ კრიტიკას, სადაც ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებიც არის მინიშნებული. გაზეთიდან უნდა განიდევნოს ანგარიშსწორების, ღვარძლის, განქიქების ტონი.

თავის მხრივ, გაზეთის რედაქცია მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას ავტორებთან. მოაწყობს მათთან ინდივიდუალურ გასაუბრებას, თათბირ-სემინარებს საგაზეთო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

პრესის შესახებ მიღებული ახალი კანონი ახალ შესაძლებლობებს უქმნის გაზეთის მუშაკებს. იხსნება ბევრი გაუგებარი აკრძალვები, დოგმატური მიდგომები, რომლებიც ბეჭდვით ორგანოებს იდეოლოგიზირების წნეხქვეშ ამყოფებდნენ. გაზეთი ხდება უფრო დემოკრატიული, თავისუფალი ყოველგვარი მონოპოლიისაგან. მის წინაშე მთელი სისრულით იკვეთება ნაირგვარი გზების არჩევანი, რომლითაც რედაქცია უფრო მეტად დაუახლოვდება ხალხს, გაითავისებს მათ სალხენსა და სატკივარს.

ვწეროთ სიმართლე, ვიყოთ კომპეტენტურნი საკითხების გაშუქებაში, ვწეროთ ცოცხლად, საინტერესოდ. გაბედულად, ყოველგვარი ტრაფარეტისა და შტამპის გარეშე!—ასეთია ჩვენი მღელვარე დროის შეკვეთა პრესის მუშაკისადმი.

## გადაირიცხა დემოგრაფიულ ფონდში

დღითიდღე იზრდება ჩვენი დემოგრაფიული ფონდი, რომელიც სოფლიშვილო საქმეს, ერის გამრავლება-აღორძინებას ემსახურება. ამ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ინგირის სასოფლო საბჭოს აღმასკომმაც, რომელმაც დემოგრაფიულ ფონდში გადარიცხა 500 მანეთი.

## განვიხილავთ პროექტს—საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზატორულ სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებანი

## მაქვს ზოგიერთი შენიშვნა

გულდასმით გავეცანი რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ორგანიზატორულ სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულების პროექტს.

როგორც პროექტის შესავალ ნაწილშია მითითებული, ეს დოკუმენტი სრულყოფას და დახვეწას მოითხოვს. მაქვს ზოგიერთი შენიშვნები და წინადადებები ამ პროექტის ზოგიერთი მუხლის მიმართ.

პროექტის პირველი თავის—„საპროგრამო დებულებების" მე ათე მუხლში ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიას რესპუბლიკური ეკონომიკური პოტენციალის განუხრელი ზრდის მაგისტრალურ გზად საბაზრო ეკონომიკა საკუთრების ყველა ფორმის განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნა და და თავისუფალი მეწარმეობა მიაჩნია".

ჩემის აზრით ეს არ არის ქვეყნის შექმნილი ცუდი ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალება. ყველა ხედავს თუ როგორ იზრდება დღითი დღე ბაზარზე სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასები: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ფასები შემცირების მაგიერ კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კი ისევ მუშაკაცის, მშრომელი ინტელიგენციის ისედაც ღარიბ ოჯახურ ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვება. მე მგონია, რომ ჩვენს ისედაც დაქანცულ ეკონომიკას ნულამდე დაიყვანს.

და კიდევ ერთი შენიშვნა ძირითადი დებულებების მეორე განყოფილების პირველი თავის „საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი, მისი უფლებები და მოვალეობანი"—მეექვსე მუხლის მეორე აბზაცში ვკითხულობთ:

„პარტიაში აღდგენის უფლება გამონაკლის შემთხვევაში აქვს რესპუბლიკურ სარევიზიო კომისიას ან ყრილობას. პარტიიდან გარიცხულს უფლება აქვს კვლავ შევიდეს პარტიაში.

თუ რესპუბლიკური სარევიზიო კომისია ან ყრილობა განიხილავს საკითხს რამდენად სწორად არის კომუნისტი პარტიიდან გარიცხული და მივა იმ დასკვნამდე რომ პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება უმართებულოა, მაშინ რა გვაქვს სადაო. მაგრამ თუ პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტი დამსახურებულად გარიცხა, პარტიის რიგებიდან და ამას დაადასტურებს რესპუბლიკური სარევიზიო კომისია, მაშინ ასეთი კაცის ხელახლა პარტიის რიგებში მიღება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

შ. ჯიქია,
შრომისა და ომის ვეტერანი.

## არ გაიზიარეს კომუნისტებმა

ინგირის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (კომიტეტის მდივანი კ. ყალიჩავა) კომუნისტების წინაშე განსახილველად გამოიტანა საკითხი საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტის განხილვის შესახებ. საკითხის ირგვლივ გაიმართა პრინციპული მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. კაკულიამ, ბრიგადირმა ს. გულუამ, პენსიონერმა შ. შაკალუამ, ინგირის სოფლის მუზეუმის დირექტორმა ლ. ლაგვილავამ, ინგირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კვირკველიამ, ინგირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ზ. ქარჩავამ, მრავალტირაჟიანი გაზეთის „ინგირის" რედაქტორმა ჯ. ფილფანმა, პენსიონერმა ა. ცქვიტაიამ.

როგორც დისკუსიაში მონაწილე, ასევე სხვა კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტი შედგენილია ნაჩქარევად. მათ თქვეს, რომ პროექტი წარმოადგენს საკავშირო კომპარტიის პროექტის უნიშვნელო სახეცვლილებას, სადაც არ არის გამოკვეთილი პარტიის სამოქმედო პროგრამა საქართველოს წინსვლის საქმეში. თეზისი, რომ კომპარტია იბრძოლებს რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მათ მიაჩნიათ არარეალურად, რადგანაც დემოკრატიული საქართველოს ოპოზიციად ჯერ ბოლშევიზმი, შემდეგ მისი პირმშო კომუნისტური პარტია გვევლინება. კომუნისტები ითხოვენ საქართველოს კომპარტიისაგან ისეთ კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას, რომლის განხორციელების გზას ხალხის მასები გაჰყვება.

კრებაზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტი, არ იქნა გაზიარებული და ასეც ჩაიწერა დადგენილებაში.

ჯ. ფილფანი,

## უ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება ნაცვლად ადრე გამოცხადებული 30 ივნისისა ჩატარდება 3 ივლისს, 15 საათზე, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის საქტო დარბაზში.

საინიციატივო ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი კონტაქტები

ამ რამდენიმე წლის უკან, სრულიად შემთხვევით, მასპინძლებისგან ნებადაურთველად, ჩაის კომბინატ „ოდიშის“ აგურა ჩაის საწნეხ საამქროში მოვხვდი. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირველად ჩემს ცხოვრებაში, გავიცნობიერე თუ რას ნიშნავდა მონური, დამქანცველი შრომა... თანაც მეოცე საუკუნის მიწურულს, ისიც მეცნიერული პროგრესისა და ქვეყნის „აყვავება-აღორძინების“ ხანაში. მაშინ, ნანახის შემდეგ მშენებარე საწნეხი ფაბრიკაც დამათვალიერებინეს, მაგრამ, მართალი გითხრათ, საიმედო ვერაფერი გამომაყოლეს...

მას შემდეგ, თუ არ ვცდები, სულ ცოტა სამი წელი გავიდა, ექსპლოატაციაში შევიდა ახალი, ექსპერიმენტალური ჩაის საწნეხი ფაბრიკა. მექანიზირებულმა, ტექნიკის თანამედროვე ნიმუშებით აღჭურვილმა საამქროებმა აგურა ჩაისა თუ ხარისხიანი, შავი ბაიხის ჩაის დამზადების ტექნოლოგიაში ადრე არსებული რთული ოპერაციებისაგან გამოათავისუფლა არაერთი მუშახელი. როგორც ჩვენთან საუბარში ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ აბესალომ ოყუჯავამ აღნიშნა, თანამედროვე ტექნიკური დანადგარების დანერგვამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, ანაზღაურება, პროდუქციის ხარისხი. საწარმო გაძლიერდა ეკონომიკურად, საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა შრომისა და დასვენების პირობები. ვერ ვიტყვით, საწარმოს არ ჰქონდეს პრობლემები. მასპინძლებს ამ საკითხებზე გულახდილად საუბრისთვის თავი არ აურიდებიათ, არც საწნეხი საამქროს მუშები ცდილან დაემალათ ყოველდღიური წვრილმანი, მაგრამ რამდენადაც ისინი მომავალს იმედის თვალით უყურებენ და მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „საწარმოში არ არსებობს რამე გადაუჭრელი სერიოზული პრობლემა“, გადავწყვიტეთ ამჯერად იმ სიახლეებზე ვისაუბროთ, რომელიც ბოლო დღეებში საწარმოში მიმდინარეობს.

მოგეხსენებათ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება საგრძნობლად ზრდის მოთხოვნას ამ პროდუქციაზე. დღევანდელი მონაცემებით ჩაის საწნეხი ფაბრიკა თავისი ნახელავით ამარაგებს როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქებს, ასევე საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანას. გამოშვებული აგურა ჩაის 75 პროცენტი ყოველწლიურად მონღოლეთში იგზავნება. როგორც აბესალომ ოყუჯავამ გვითხრა, მონღოლები იმდენად კმაყოფილნი არიან თურმე ჩვენს მიერ დამზადებული პროდუქციით, რომ ყოველნაირად ცდილობენ გაზარდონ „იმპორტის“ ოდენობა, მაგრამ სერიოზული წინააღმდეგობა ექმნებათ შუა აზიის რესპუბლიკებისაგან, სადაც მთლიანად იგზავნება მათგან „გადარჩენილი“ პროდუქცია.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა განსაკუთრებულად ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებს უქმნის საწარმოს.

ამ დღეებშიც, ექსპერიმენტალურ ჩაის საწნეხ ფაბრიკას ფინელი და შვედი კოლეგები „მეიდველის“ მისიით ესტუმრნენ. გაფორმდა ხელშეკრულება (ხელშეკრულებას ჩაის საწნეხ ფაბრიკასთან ერთად ხელი მოაწერეს ჩაის კომბინატ „ოდიშის“ და ჩაის გადამწონი ფაბრიკის ხელმძღვანელებმა). ფაბრიკა მიმდინარე წელს „მეიდველებს“ 100 ტონამდე შავი ბაიხის ჩაის მიაწვდის. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. ჩვენი, საწარმოში ყოფნის დღეს, ფინეთში გაიგზავნა 6 ტონა ჩაი (აღსანიშნავია, რომ ერთი კილოგრამი ჩაის ღირებულება 10 დოლარია). ამასთანავე, ჩვენს ქალაქში, მიმდინარე წლის მე-4 კვარტალიდან დაიწყება ერთობლივი საწარმოს დამონტაჟება, რომელიც ჩაის ანარჩენისა და სუფრის ჭარხლისაგან დაამზადებს ნატურალურ საღებავს. დასამონტაჟებელ სამუშაოებს ფინელები და შვედები წარმართავენ, ნედლეული კი ძირითადად ჩვენი იქნება (დარწმუნებული ვართ, მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს ის ფაქტი, რომ ერთი კილოგრამი საღებავი შეფასებულია 500 დოლარად).

ფინელებთან და შვედებთან ზემოთ აღნიშნული კონტაქტების წარმატებით განხორციელება დიდ ეკონომიკურ მოგებას მისცემს როგორც საწარმოს, ასევე მთელს რესპუბლიკას. მასში, ჩვენ, იმ ეროვნულ მარცვალსაც ვჭვრეტთ, რომელიც ხვალინდელ საქართველოსაც წაადგება.

ნ. მოსიძე.

## ნაყოფიერად იმუშავა

ჩატარდა მასწავლებელთა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიანი კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალაქ ზუგდიდის მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების შრომითი-სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგე ც. კვიკვინია.

კურსებზე წაკითხულ იქნა საინტერესო ლექციები ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, საბჭოთა კანონმდებლობის, ეკოლოგიის, ესთეტიკის, საქართველოს ისტორიის, მეტყველების კულტურისა და სხვა საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულ იქნა შრომითი სწავლების კერძო მეთოდიკაზე, შრომითი სწავლების პრინციპებზე ლაბორატორიულ - პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაზე და სხვა. ც. კვიკვინიამ, ა. ქავზინაძემ, ჯ. დევდარიანმა, ზ. რატიამ და სხვებმა თვალნათლივ განუმარტეს მსმენელებს ტექნიკური სამუშაოების, სასწავლო ექსკურსიების, სასწავლო თვალსაჩინოებების, ტექნიკური საშუალებებისა და სხვათა რეალიზაციაზე გაკვეთილის ჩატარების პროცესი.

კურსებზე მსმენელებმა გამოთქვეს საქმიანი წინადადებები, შენიშვნები და სურვილები. კერძოდ ითქვა, რომ შრომითი სწავლების მასწავლებლებს არა აქვთ დროის შესატყვისი მეთოდური ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებანი, სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა.

კურსებმა ნაყოფიერად იმუშავა.

ჯ. ჩაკაბერია.

მრეწველობა

## იგზავნება სხვადასხვა ქალაქებში

ქალაქის ნაწარმოების მხარდამხარ შრომობენ ყრუთა საზოგადოების ზუგდიდის სასწავლო-საწარმოო წამოწყების კოლექტივის წევრები (დირექტორი ო. შამუგია). მათ მიერ გამოშვებული ნაწარმი მომხმარებელთა მოთხოვნით სარგებლობს —საგალანტერიო საქონელი, ბამბა, ზეთოვანი საღებავები და სხვა. საწარმომ ივნისში უკვე გამოუშვა 223 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმა 100 პროცენტით შესრულდა.

საზოგადოების მიერ გამოშვებული ნაწარმი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იგზავნება — ჟიტომირში, ხაბაროვსკში, დონეცკში თუ სხვაგან.

საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ მოწინავე მკერავებს. ჩახუტი ჯოლოგუას, გული ბუკიას, ლეილა ქანთარიას, მერი ლურწკაიას, ნაზი სორდიას, ზეფირა წურწუმიას, ნუნუ ბალათურიას; საგალანტერიო საამქროს მუშაკებს—მზიური ქუთელიას (საამქროს ოსტატი), ლონდა კვირკველიას, გულნაზი კალანდიას, პაატა ჭედიას, საღებავების საამქროდან—ზურაბ ბალათურიას (ბრიგადირი), ომიკო ბერიშვილს, მამია გოგიბერიას, ბამბის გადამამუშავებლებს—ნონა არახამიას (უბნის უფროსი), თამარ ფარფალიას და სხვებს.

## დადგა მემუარების წერის დრო

გამოვიდა ბორის ელცინის წიგნი „აღსარება მოცემულ თემაზე“. ეს არც მემუარებია და არც პოლიტიკური გამოკვლევები. უბრალოდ ჩვენი ეპოქის ავტოპორტრეტია. გამოუშვეს იგი რიგაში და სვერდლოვსკში. 400 ათასი ტირაჟით.

აგვისტოში ავტორთან შეთანხმებით აღსარების ბეჭდვას იწყებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „კომსომოლსკაია ჟიზნ“, სცადეთ, წაიკითხოთ ეს წიგნი ამ ჟურნალში.

მოქალაქეებს შეუძლიათ 30 ივნისიდან გამოიწერონ ეს ჟურნალი.

„კომსომოლსკაია პრავდა“, 24 ივნისი.

# შევიყვაროთ ერთმანეთი

## კულტურა ყველას ამკობს

გარდაქმნა უპირველეს ყოვლისა ისეთ მორალურ კლიმატს გულისხმობს, როცა ყოველი მოქალაქე თავის პირად პასუხისმგებლობას მაქსიმალურად იგრძნობს ჩვენს სინამდვილეში ფესვგადგმული მანკიერებათა გამო.

გარდაქმნა ყოველი მოქალაქისაგან ითხოვს ისეთ პრინციპულობას, რომელსაც ძალუძს ხელფეხი შეუბორკოს სოციალური უსამართლობის ჩამდენ ნებისმიერი დონის ხელმძღვანელს.

გარდაქმნამ უნდა შეგვაძლებინოს თავის კანონიერ უფლებებზე აღვადგინოთ სხვადასხვა მიზეზთა გამო იგნორირებული ისეთი ცნებები, როგორიცაა: მოუსყიდველობა, წესიერება, სამართლიანობა, პირადი ღირსება და ა. შ.

თითოეული შრომითი კოლექტივი დღეს წყვეტს ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ ამოცანას: ფართოდ უხსნის გზას პლურალიზმს, ალტერნატიულ პოზიციებს. თანდათან ისტორიას ბარდება შიში, პარტოკრატიული სტილის წლობით ჩამოყალიბებული ართახები, რომლებსაც მშრომელი კაცი მიაჩნია დუმილს, თვალთმაქცობას, გაუბედაობას. დიდ ეინშტეინს უთქვამს თავის დროზე: მოსეს ათი კი არა, თერთმეტი მცნება უნდა ჩაგვებეჭდოს გულში. მეთერთმეტეში კი აი, რა წერია: „არ შეგეშინდეს“. მხოლოდ ცხოველი პოლემიკის, ოპონენტისადმი პატივისცემის, პრინციპული პოლიტიკური დიალოგის გზით დავამკვიდრებთ ურთიერთობის იმ კულტურას, რასაც ხვალ და ზეგ ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევნებამდე, კოალიციური, პარიტეტული მართვის სტრუქტურამდე უნდა მივეყვანეთ. მაგრამ ამისათვის უცილო წინაპირობაა საჯაროობასა და დემოკრატიას პატივს ვცემდეთ, სწორად ვიცნობიერებდეთ.

ცდება ის, ვინც ქალაქის ეკონომიკის აღორძინების სტრატეგიულ ამოცანას სხვა პრობლემებისაგან გამიჯნულად წარმოიდგენს. ვერაფერ ხეირს მოგვიტანს კოლექტივის ხელმძღვანელი, რომელიც სამეურნეო შედეგსა და მუშაკაცის განწყობილებას შორის დიალექტიკურ კავშირს არ ხედავს, დასავლეთელი ფირმის პრეზიდენტი განა უკეთესია, რომ დიდძალ კაპიტალს აბანდებს მშრომელთა კეთილი ტონუსით დასამუხტავად. ჩვენი საწარმოს ზოგი ხელმძღვანელი კი ხაიმისოდაც არ იცლის, რომ თვეში ერთხელ სასიამოვნო გასართობი პროგრამა მოუმზადოს თავის კოლექტივს. ისევ „საქქალაქდმრეწვის“ გაერთიანება, ფაიფურის ქარხანა, ინგირის, ახალსოფლის, ოქტომბრის კოლმეურნეობები და ზოგი სხვა ორგანიზაციის მესვეურნი თუ გამოიჩენენ ამ მხრივ ინიციატივას. რატომ არ უნდა ავლენდეს მეტ აქტიურობას ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდობა?

ყველას ახსოვს შექსპირის ნაწარმოების უკვდავი გმირის სიტყვები: „ბევრი რამ ხდება ჰორაციო ამ ქვეყანაზე, რაც ფილოსოფოსთ სიზმარადაც არ მოლანდებიათო“. ამ აზრის მცირე პერიფრაზით ასეთი რამის თქმა გვინდა: ბევრი რამ ხდება ჩვენს საყვარელ, კოპწია ზუგდიდში უფრო სწორად ზოგიერთ ჩვენს ოჯახში ისეთი, რაც არ გვეკადრება, რაც ცხოვრების ზნეობრივ ნორმებს არ ესადაგება.

ადამიანთა ერთი ნაწილის შეგნება მთლიანად დაიპყრო მეშჩანურმა ჟინმა. მათი დევიზია: როგორმე ვიცხოვრო სხვაზე უკეთესად. დასანანია, როგორ ღალატობთ ზოგიერთებს წარმარა ზომიერების გრძნობა. ყიდულობს კაცი იმ ნივთს, რომელიც არ სჭირდება. აშენებს იმხელა სასახლეს, რომელიც არაფერში არ გამოადგება, იძენს იმდენ წიგნს, რამდენი ფურცელი საერთოდ არა აქვს გადაკითხული დაბადებიდან დღემდე.

ბევრ ჩემს თანამემამულეს სამწუხაროდ ჰგონია, რომ ადამიანი ფასობს იმით, რაც გარედან მოჩანს, ვიზუალურად აღიქმება. არა და, ასე არ არის. ყველაზე დიდი განძი ხომ შეგნებაა, პროფესიონალიზმია, ნიჭიერება და თავმდაბლობაა. მადლისგან დაცლილია ყოველგვარი მატერიალური სიკეთე, რაც მორალური ღირსებების ფეხქვეშ გათელვის ხარჯზეა მოპოვებული. ამ გზის ბოლო არ არის კეთილი. იგი შინაგანი წუხილის, ფორიაქის, სინდისის ქენჯნის ტკივილით არის აღსავსე.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესი, მთელი ეს ავტორიტარული სისტემა, მართალია, სულიერი თვითგანწმენდისათვის ნაკლებად გვიტოვებს საშუალებას, მაგრამ მაინც უნდა ვძლიოთ ობივატელურ სტერეოტიპებს. საქართველოს მომავალი გვავალებს საკუთარ თავში მოვაშთოთ ყალბი კერპები და ვიცხოვროთ დევიზით: გამოვიჩნდე სხვაზე ღირსეულად!

ახლანდელ თაობას დროს დააკისრა უდიდესი მისია: გამოიძერწოს სახე დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოსათვის მებრძოლთა მარჯვენა ფლანგში მდგომი ზუგდიდელებისა. ჩვენ უნდა გავიაროთ თვითგანწმენდის ეკლიანი გზა და ჩვენვე ვეძებოთ პასუხი კითხვებზე: რა გვიშლის ხელს უფრო შევიყვაროთ მინდობილი საქმე და ერთმანეთი. შევძლოთ გაერთიანება, ერთ მონოლითურ ძალად შეკვრა. მოვახერხოთ ადამიანური კონტაქტების კულტურის სრულყოფა იმდაგვარად, რომ ზუგდიდელები ცივილიზებულობის უფრო მაღალ დონეზე აღმოვჩნდეთ, ვინემ დღეს ვართ.

ზ. ცხონდია.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, როგორც იქნა, ოფიციალურად და მთელი ხმით ითქვა, რომ საბჭოთა კავშირში მილიონობით მოქალაქე ცხოვრობს სილატაკის ზღვარს მიღმა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის პენსიონერები, რომლებიც მინიმალურ პენსიას იღებენ. ამის გამო, დეპუტატთა მოთხოვნით ახალ საპენსიო კანონში შეტანილი ზოგიერთი მუხლი, რომლის განხილვა და მიღება განსაზღვრული იყო 1990-1991 წლებში, ყრილობის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ მიიღეს და იგი მხოლოდ ადამიანთა გარკვეულ წრეს შეეხო: გაიზარდა ასაკის და მეორე ჯგუფის ინვალიდთა მინიმუმი 70 მანეთამდე, იგი გაუთანაბრდა მინიმალურ ხელფასს, პირველი ჯგუფის ინვალიდებს მიეცათ 85 მანეთი, ომში დაღუპულთა მეუღლეებს პენსია გაუდიდდათ 60 მანეთამდე, მოიმატა აგრეთვე ომის ინვალიდთა მოხუცებულობის პენსიამ, გაიზარდა ბავშვობიდან ინვალიდთა ყოველთვიური დახმარება. ყველა ჯგუფის ინვალიდობის პენსიები სრულად გაიცემა, მიუხედავად გამომუშავებული თანხისა.

საყურადღებოა, რომ საკოლმეურნეო პენსიები, რომელიც ადრე საგრძნობლად ნაკლები იყო, გაუთანაბრდა სახელმწიფო პენსიებს, ე. ი. კოლმეურნეებს პენსიები გადაუანგარიშდათ სახელმწიფო პენსიების თანაბრად, იმ რაოდენობით, რასაც მუშები და მოსამსახურეები იღებენ.

ახალი კანონი, რომელიც შემდგომ იქნა მიღებული და ახლახან გამოქვეყნდა პრესაში, მოსახლეობის აბსოლუტურად ყველა კატეგორიას ეხება. იგი ითვალისწინებს მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის საგრძნობ გაუმჯობესებას. ყოველ შრომისუნარდაკარგულ ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში წარმოქმნილი სხვადასხვა გარემოების გამო არ გააჩნია მუშაობის სტაჟი და ვერ იპოვებს შრომით პენსიას, დაენიშნება ე. წ. სოციალური პენსია, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით დაენიშნება მინიმალური პენსიის ასი, ორმოცდაათი და ოცდაათი პროცენტის რაოდენობით.

18-დან 28 წლამდე უგრძელდებათ პენსიის მიღების ვადა მარჩენალის დაკარგვის გამო უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს.

ყველა ჯგუფის ინვალიდს, რომელიც აგრძელებს მუშაობას, ეძლევა პენსია მთლიანი რაოდენობით, მიუხედავად გამომუშავ-

# ახალი საპენსიო კანონი

ახალი კანონი აფართოებს შეღავათების უფლებას. მაგალითად, მუშაობის სტაჟში ჩაითვლება პირველი ჯგუფის ინვალიდის, 16 წლამდე ბავშვობიდან ინვალიდის, 80 წელს გადაცილებული მარტოხელა მოხუცის მოვლის დრო, აგრეთვე მუშაობის სტაჟში ჩაითვლება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლის დრო, მიუხედავად იმისა, წინ უსწრებდა თუ არა მას მუშაობა. რეაბილიტირებულ მარტოხელა მოხუცის მოვლის დრო, სტაჟში ჩაეთვლებათ სამმაგად.

ამჟამად საქართველოში შემუშავებულია რესპუბლიკის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის საკუთარი კანონის პროექტი. იგი ითვალისწინებს შეღავათებს ჩაის მკრეფავი ქალებისათვის. საპენსიო ასაკი შემცირებულია ხუთი წლით. გათვალისწინებულია საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია, 50 წელს მიღწეულ მრავალშვილიან დედებს, საკავშირო კანონისაგან განსხვავებით პენსიის დასანიშნად ეყოფათ 15 წლის მუშაობის სტაჟი. მომუშავე პენსიონერებს ასაკის პენსია მიეცემათ სრულად, ხელფასის ან სხვა შემოსავლის მხედველობაში მიუღებლად.

საკავშირო კანონით პენსიის გადაანგარიშება მოხდება ხელფასის 55 პროცენტით (ადრე 50 პროცენტი იყო), მინიმალური პენსია უთანაბრდება მინიმალურ ხელფასს. პენსიის მაქსიმალური რაოდენობა კი ვერ გადააჭარბებს იმ ხელფასის 75 პროცენტს, რომლიდანაც იგი გაიანგარიშდება. მამაკაცებს 25 წლის და ქალებს 20 წლის ზევით მუშაობის თითოეული სრული წლისათვის პენსიაზე ემატებათ ხელფასის ერთი პროცენტი.

გათვალისწინებულია პენსიის დანიშვნა განსაკუთრებული დამსახურებისათვის (ე. წ. პერსონალური პენსია), რაც დაწვრილებით იქნება ასახული „განსაკუთრებული დამსახურებისათვის პენსიების დებულებაში“, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს.

ებული თანხისა, ახაკის პენსია მთლიანი რაოდენობით არ გაიცემა, გარდა სამუშაოთა ცალკეული კატეგორიებისა; პენსიას ხელფასთან ერთად მთლიანად მიიღებენ: მუშები, ოსტატები, ანალოგიური სამუშაოთი დაკავებული კოლმეურნეობისა და კოოპერატივების წევრები, სოფლის მასწავლებლები, მედიცინის მუშაკები, ომის მონაწილეები და ვადიანი ხელშეკრულებით მომუშავე პენსიონერები.

ახალი საპენსიო კანონი იმოქმედებს და განხორციელდება ეტაპობრივად 1990 წლის 1 ოქტომბრიდან 1993 წლის ჩათვლით. 1 ოქტომბრიდან კანონი შეეხება ომის ინვალიდებს და მონაწილეებს. 1991 წლის 1 იანვრიდან ნაწილობრივ გადიდდება მინიმალური პენსიები, დაინიშნება სოციალური პენსიები.

ახალი კანონის გამოყენების სამუშაოთა მასშტაბებზე შეიძლება ვიმსჯელოთ პენსიონერთა რაოდენობით ქ. ზუგდიდში, ისინი 8 ათასზე მეტი არიან. მოგვიხდება ყოველი საპენსიო საქმის არა მარტო გადასინჯვა, არამედ თავიდან შესწავლა და გადაანგარიშება, ახალი დამატებითი საბუთების მოპოვება. უკვე შემუშავებული გვაქვს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ დიდი სამუშაოს დროულ და ხარისხიან შესრულებას.

ახალი საპენსიო კანონი რთულია და მრავალ სიახლეს შეიცავს, ამიტომ საგაზეთო სტატიაში მათი სრულად ასახვა შეუძლებელია. მოქალაქეებს შეუძლიათ მოგვმართონ საინტერესო და გაურკვეველ საკითხებზე ამომწურავი პასუხის მისაღებად.

ვეცდებით ახალი საპენსიო კანონის შესახებ კვლავ გამოვიდეთ გაზეთ „ოდიშის“ ფურცლებზე.

ვ. კემულარია,
სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

# მოგონება ფრონტელ მეგობარზე

მინდა მოკლედ მოგითხროთ მზიური საქართველოს შვილზე, წარმოშობით ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათის მკვიდრზე კაპიტან გრიგოლ ბესარიონის ძე ლესინძეზე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურა უბოროტეს მტერზე, ფაშიზმზე გამარჯვებისათვის.

1941 წლის შემოდგომა იდგა. ჩვენი დივიზია ირანიდან დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა და ორ ნაწილად გაიყო. 56-ე სატანკო ბრიგადაში მოვხვდი, რომელსაც გამოცდილი მეზენიტე, კაპიტანი გ. ლესინძე მეთაურობდა. იგი იყო ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული, მუდამ ოპტიმისტურად განწყობილი, სახემომღიმარი, მაგრამ ხელქვეითებთან საკმაოდ მკაცრი, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული პიროვნება. მეთაურები და წითელარმიელები პატივისცემით ეპყრობოდნენ თავიანთი დივიზიონის მეთაურს.

კაპიტანმა გ. ლესინძემ ჩვენს მეხსიერებაში ღრმა კვალი დატოვა, როგორც შეუდრეკელმა მეომარმა. იგი ჩვენთვის არამარტო მეთაური, არამედ შესანიშნავი მეგობარიც იყო, რომელიც ყველა ჩვენგანს ბრძოლაში გვამხნევებდა. მას ძალზე ჩვილი გულიც ჰქონდა,—იგი შეძრწუნებული იყო, როცა ხედავდა თუ რა სისასტიკით ეპყრობოდნენ გერმანელი ფაშისტები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. მახსოვს. ერთხელ როცა მე და კაპიტანი გ. ლესინძე ქერჩის მისადგომებთან კამიშ-ბურუნში ჩვენი შესაკრები პუნქტისაკენ მივემართებოდით, გზად შევყოვნდით, სადაც თვალწინ საშინელი სურათი გადაგვეშალა. უსასრულო ველი ტანკსაწინააღმდეგო თხრილებით იყო დასერილი, რომელშიც ეწყვნენ განაწამები, ფაშისტი ჯალათების მიერ დახვრეტილი ადამიანები— მამაკაცები, ქალები, ბავშვები.

კაპიტანმა გ. ლესინძემ ამაჩქარა—მალე წავიდეთ, გვეყოფა, რაც ვნახეთ, ამის დავიწყება შეუძლებელია. მართალი იყო კაპიტანი. ეს და ამის მსგავსი მრავალი სხვა საზარელი სურათები დღესაც ამოტივტივდება ხოლმე ჩემს მეხსიერებაში და მართლაც დავიწყება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია დავივიწყო კაპიტან გ. ლესინძესთან ერთად უკანასკნელად ჩატარებული საბრძოლო ოპერაცია.

დივიზიონმა სოფ. ტულუმჩაკთან სამი დღის ბრძოლის მანძილზე, ტანკისტთა პოზიციაზე თორმეტჯერ მოიგერია ფაშისტური ავიაციის საჰაერო იერიში. ჩამოაგდო მოწინააღმდეგის ხუთი თვითმფრინავი. —ამხანაგებო! რაც ჩვენ დღეს ვნახეთ, მისი წარმოდგენაც შეუძლებელია,— მრისხანებით ამბობდა დივიზიონის მეთაური—ისინი ხომ მხეცები არიან. იგი მეზენიტეებს უყვებოდა ნანახს. და გაგრძნილს, ხმა უწყდებოდა, თვალებიდან ნაპერწკალი სცვიოდა, იგრძნობოდა თითქოს რაღაც მოაწვა გულში. ერთხანს გაჩუმდა, შემდეგ კი მთელი ხმით წამოიყვირა —ისმინეთ ჩემი ბრძანება, არ გაუშვათ არცერთი ფაშისტური თვითმფრინავი, რადაც უნდა დაგიჯდეთ, ჩამოაგდეთ ისინი, ანდა გაანადგურეთ.

ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. უცებ მწყობრიდან გამოვიდა საზენიტო ქვემეხი. მთელი გათვლა, ზარბაზანი დადუმდა, დაბომბვა კი გრძელდებოდა. დივიზიონის მეთაურს კაპიტან გ. ლესინძეს დიდხანს არ უფიქრია, ქვემეხს მიუჯდა და მოპირკა „აუ—88“ თვითმფრინავს ცეცხლი დაუშინა. იგი ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, ჭურვის ნამსხვრევმა მარცხენა ხელი მთლიანად ჩამოაგლიჯა, პლევრაც დაუზიანა. იგი უგონო მდგომარეობაში, მომაკვდავი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან.

კაპიტან გ. ლესინძეზე წიგნში „სამშობლოს სადარაჯოზე“ გამოვაქვეყნე ჩემი მოგონებები, რის საშუალებითაც წილად მხვდა ბედნიერება გავცნობოდი მის მეუღლეს ქალბატონ ანას და ერთადერთ ვაჟიშვილს ედუარდს, რომელმაც მანამდე არაფერი იცოდა მამის შესახებ. ედუარდი სამშობლოს უზრდის სამ ვაჟკაცს —გრიგოლს, ედუარდს, ბესარიონს. იმრავლოს გრიგოლ ლესინძის შთამომავალმა.

გიორგი პაპოვიანი,
გადამდგარი პოდპოლკოვნიკი.

# გმადლობთ თანადგომისათვის

დედ-მამით ობოლი ვარ. ვიზრდები მამიდასთან, რუსუდან ჯაფარიძესთან, რომელიც მზრუნველობას არ მაკლებს, მაგრამ ჩემი გულიდან არ ამოდის უდროოდ დაღუპულ მშობლებზე სევდა.

კარგახანია ჩაის კომბინატ „ოდიშის“ ხელმძღვანელობამ და მისმა კოლექტივმა აიღეს ჩემზე შეფობა, თავიანთი აღსაზრდელი გამხადეს. დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ის ამაგი, რაც გამოიჩინა კომბინატის დირექტორმა მურმან დარსელიამ და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. დაუვიწყარი იქნება ასევე 1990 წლის 11 ივნისი, როცა მივიღე „პირველი ხელფასი“.

გულდასაწყვეტია ჩემთვის, რომ ამგვარივე მზრუნველობა არ გამოიჩინა მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივმა, სადაც მამაჩემი წლების მანძილზე მუშაობდა ჯერ ოსტატად, შემდეგ მოლარედ.

კეთილმა ადამიანებმა მაინც შემიფარეს. მადლობა მათ თანადგომისათვის.

თამარ ჯაფარიძე.

# მეცხოველეობა— დამკვრელური უბანი!

ახლა, როცა წლის პირველი ნახევარი იწურება, ნარაზენელ მეცხოველეებს გვმართებს ზოგიერთი დასკვნების გაკეთება. მიმდინარე წელს ჩვენ ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული 168 ტონის მაგიერ 19 ივნისისათვის უკვე ვაწარმოეთ 210 ტონა რძე. მათ შორის სახელმწიფოს ჩაბარდა 185 ტონა, ანუ გეგმიურზე 22 ტონით მეტი. ჩაბარებული რძის 88,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა. დაახლოებითი ეკონომიკური გაანგარიშებით ერთი ცენტნერი რძის წარმოებაზე დანახარჯები 3 მანეთიდა და 50 კაპიკით შემცირდება.

უკვე წარმოებულია 80 ტონა ხორცი, რაც გეგმიურ დავალებას 5 ტონით აღემატება.

ფერმაში საშუალოდ ერთ მეწველ ფურზე მიღებულია 1615 კილოგრამი რძე, ანუ გეგმიურზე 322 კილოგრამით მეტი. ახლა ფერმაში დღიური წველადობა 1250-1800 კილოგრამს აღემატება.

ჩვენს განკარგულებაში არსებული საკვები, გვაძლევს იმის გარანტიას, რომ წლის ბოლომდე შევინარჩუნოთ წველადობის მაღალი ტემპი. პირველი დეკემბრისათვის უზრუნველვყოფთ წლიური გეგმით გათვალისწინებული 323 ტონა რძის წარმოებას, და მომავალი 1991 წლის ანგარიშში დამატებით ვაწარმოებთ 40 ტონა რძეს, ამ განაცხადის გაკეთების უფლებას გვაძლევს საკვების ის მარაგი, რომელიც შარშან შევქმენით.

წელსაც დიდ სამზადისში არიან საკვებმომპოვებელი ბრიგადის (ბრიგადირი ელდარ ბერიშვილი) წევრები. მათს განკარგულებაშია სხვადასხვა სახის 6 ტრაქტორი. აგროტექნიკურ ვადებში დაითესა ხასილოსე სიმინდი და ერთწლიანი საკვები კულტურები. წელს კოლმეურნეობაში დამზადდება 3000 ტონა უხეში და წვნიანი საკვები. მათ შორის 250 ტონა თივა, 200 ტონა ჩალა, 400 ტონა სენაჟი და 2200 ტონა სილოსი.

ადგილობრივი წარმოების იაფი და ყუათიანი საკვების ის მარაგი, რომელსაც საკვებმომპოვებლები შექმნიან, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ წარმატებით გავანაღდოთ წლიური გეგმა-დავალება.

მირიანე ბიგვავა,
ნარაზენის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღია წერილი ხეცერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. ქვარაცხელიას

მადლობის მეტი რა გვეთქმის პარტიისა და მთავრობის იმ დადგენილებების გამო, რომლებსაც იღებენ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და ინვალიდთა დასახმარებლად. მაგრამ როცა ეს დადგენილებანი ადგილებზე არ სრულდება, ადამიანებს ეჭვი შეაქვთ მათს სამართლიანობაში, რაც სახელს უტეხს ზემდგომ ინსტანციებს და ჩვენს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

დიდი სამამულო ომის 45 წლისთავთან დაკავშირებით იმ წარმოება-დაწესებულებებს, საიდანაც პენსიაზე გავიდნენ ომის მონაწილენი და ინვალიდები, დავალებული ჰქონდათ გაეწიათ მათთვის მატერიალური დახმარება. ასეთი დადგენილება მიიღო ხეცერის ჩაის მეურნეობამაც, რომელიც ეკონომიკურად ძალზე ძლიერია, მაგრამ მისი თავკაცის ვახტანგ ქვარაცხელიას თაოსნობით აქ მშრომელთა კეთილდღეობისათვის იოტისოდენაც არ კეთდება. ხეცერის საბჭოთა მეურნეობაში შვიდიოდე სამამულო ომის მონაწილე, მათ შორის უმრავლესობა ინვალიდები ვირიცხებით. გამოგვიწერეს 30-30 მანეთი, რომელიც ჩვენთვის შეურაცხმყოფელი უფრო იყო, ვიდრე გულის გასახარი, ამიტომაც უწყისზე ხელი არ მოგვიწერია, თანხა კი ძალით შემოგვაჩეჩეს... ეკონომიურად სუსტ აბასთუმნის მეურნეობას 50-ზე მეტი ომის მონაწილე ჰყავს და მათთვის არ უკადრებიათ 80 მანეთი. რას მივაწეროთ ეს, თუ არა მეურნეობის ხელმძღვანელისა და მისი მოუქნელი აპარატის გულგრილობას. იქნებ გვიპასუხონ?

ოთარ დარასელია,
ომის ინვალიდი.
ბეთანდილ მოლაშხია,
სამამულო ომის მონაწილე.

## საიმედო პროცედურა
(ფელეტონი)

წელი მწყდება, ვკვდები კაცი, იშიაზმა შემიპყრო,
რით არ მკურნალობენ, მაგრამ ჩემი შველა ვერ იქნა.
ცოლი ისე მაგუნდავებს ეცინება მეზობელს,
გასართობად მიკითხავენ კრილოვს და ეზოპეს...
კლინიკაში მიმიყვანეს დიდი ვაი-ვიშითა,
დასტაქარი მსინჯავს, მაგრამ ჯიბეს უფრო „მიჩითავს";
მეკითხება: ვინ ვარ, რა ვარ, რა ქონების მფლობელი,
საცხოვრებლად რომელი სჯობს, ქალაქი თუ სოფელი?!
რით ჰგავს ბახი ან მოცარტი შოპენსა თუ ბეთჰოვენს,
თუ ვიცნობდი რომელიმე მწერალს თანამედროვეს.
მე კი უცებ იშიაზმა ისე შემომიტია,
თირკმლებს ზემოთ ისე მბურღავს თითქოს ცეცხლი მიწთია.
ძლივს წარმოვთქვი: გავლილი მაქვს ქრთამგაღების პრაქტიკა,
გწამდეთ, ჩემთან არ გჭირდებათ დროს გაყვანის ტაქტიკა.
„ხელის ჰუჭი" რომ გაელო ძლივს ვანიშნე თოლიგეს,
(ჩემი უხეირო ქცევით ელიმება მორიგეს)...
სიტყვის თქმა და ხალათები აბჯრებივით „აისხეს",
გამაბრტყელეს ლოგინზე და პროცედურაც დაიწყეს.
რა წემსები არ მიჩხვლიტეს, რა წამლები არ მასვეს,
თუ მთლიანად ვერ განმკურნეს, იმედებით ამავსეს...
...ახლა სახლში იშიაზი ძმაკაცივით არ მტოვებს,
წუთის სავალს მოკუნტული მთელ ორ საათს ვანდომებ,
მაგრამ მაინც საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი,
სხვა თუ ცოცხლობს მეც ვიცოცხლებ ნატვრითა და იმედით.

ვახტანგ გულუა.

## თვალსაზრისი

## სიმსუქნის შესახებ

სიმსუქნე თანამედროვე ცივილიზაციის შედეგია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ამ ფენომენმა საქართველოში საკმაოდ გამოხატული ფორმები და გლობალური ხასიათი მიიღო. ქართველმა კაცმა ოდითგანვე ჩინებული გამასპინძლება იცოდა და იცის სტუმრისა. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება პოეტ იოსებ ნონეშვილის სტრიქონები: „ქართველი კაცი გაყიდის პერანგს, ოღონდ კი სტუმარს კარგად დაუხვდეს". მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ხშირად უზომო გამასპინძლება ვიცით. ამიტომ სტუმრები, მათ შორის გერმანელები, რომლებიც ცნობილი არიან ზომიერებითა და აკურატულობით, დაუფარავი გაოცებით გვეკითხებიან: როგორ უძლებს ყოველივე ამას თქვენი კუჭი, ან ქისა?

ჯერ კიდევ უძველეს დროში, აღმოსავლეთის რიგ ცივილიზაციებს შეგნებული ჰქონდათ კვების ჰიგიენის მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ ძველ საქართველოში საკმაო პედანტიზმით იცავდნენ მარხვის დღეებს, რაც ადამიანისათვის თავისებურ პროფილაქტიკურ და სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა. ბევრი ჭამა და ღვინის სმა სახირცხვოდ ითვლებოდა. დიდი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ძველ საქართველოში სიმთვრალე საძრახ საქმედ იყო მიჩნეული. მე-19 საუკუნეში ევროპეიზირებულმა თავადაზნაურობამ გააჩაღა უზომოდ ჭამა და ღვინის სმა, რომელი სენიც, სამწუხაროდ, ხალხში თანდათანობით მეტ-ნაკლებად გავრცელდა და დღემდე მოაღწია. თავის დროზე, ჩვენი წინაპრები სუფრასთან დასხდომის წინ ქამარს მჭიდროდ შემოიჭერდნენ, რომ ჭამით ზედმეტი არ მოსვლოდათ (სამწუხაროდ დღეს უმრავლესობა ქამარს არ იყენებს).

ამჟამად მკვეთრად შემცირდა ჩვენს მიერ ფიზიკური ენერგიის ხარჯვა: განვითარდა ტრანსპორტი, მექანიზაცია, ავტომატიზაცია, მომრავლდა მსუბუქი ავტომანქანა და სხვა. ზოგიერთი ბავშვის მშობელი მოსწავლეს, თავის შვილს სკოლაში მანქანით ატარებს, მაშინ როცა უმრავლეს შემთხვევაში ეს რაიმე აუცილებლობით არ არის ნაკარნახევი. თუ წვიმს, ან დიდი თოვლია, მაშინ გასაგებია მშობლის ეს საქციელი... ნუ დაგვავიწყდება ის ამბავი, რომ ნორმის ფარგლებში ფეხით სიარული ადამიანისათვის თავისებური ტანვარჯიშია.

პროცენტულად დაანგარიშებულია: სიმსუქნე თბილისში 40 პროცენტია, კახეთში —34, დასავლეთ საქართველოში —27. ჩვენს მთიანეთში კი მხოლოდ 7 პროცენტი. თბილისის მოსახლეობა საკვებად დიდი რაოდენობით ხმარობს პურს, შაქარს, ცხოველურ ცხიმებს, რაც ბევრად აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ თეთრი პურით, შაქრითა და საკონდიტრო ნაწარმით გატაცება ნამდვილი კატასტროფაა ადამიანის კვებაში. მოქალაქენი ძალიან ხშირად, უმთავრესად დედათა სქესის წარმომადგენლები, უჩივიან „ფორმის დაკარგვას". ცხადია, გამოსავალი არის: ზომიერად კვება და სმა, რაც შეიძლება მეტი ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, ენერგიის ხარჯვა და შედეგი სახეზე გვექნება.

ზემოთ თქმულიდან ასეთ დასკვნამდე მივდივართ: რაც უფრო დაბალია ადამიანში საყოფაცხოვრებო კულტურა, მით უფრო მაღალია მასში სიმსუქნის რეციდივი ყველა თავისი უარყოფითი შედეგებით.

ჯ. როგავა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

## სიტყვითაც კურნავს

გულისხმიერი, ყურადღებიანი, თავისი პროფესიის ერთგული — ასე იცნობენ სოფელ ჭაქვინჯის მცხოვრებნი თავიანთ ექიმს ვალტერ ქადარიას. სიტყვითაც კურნავს, დადის და თესავს სიკეთეს, ჯანმრთელობას უნარჩუნებს ასობით ადამიანს. მას ენდობიან, სწამთ მისი. სოფლის მკვიდრ შვილს კარგად ესმის თანასოფლელთა გულისნადები, მათი ყოველი სატკივარი გულთან მიაქვს.

დიდი დრო არაა, რაც ვალტერი მკურნალად მუშაობს ჭაქვინჯში, მაგრამ უკვე გაითქვა სამაგალითო ექიმის სახელი. მას გვერდში უდგას საექიმო ამბულატორიის მედპერსონალი: ლ. შენგელია, მ. ჯიქია, ი. ბასილაია, ი. ჯიქია, რომელთა მომსახურებითაც კმაყოფილია სოფელი.

ემრავლოს ჩვენს კუთხეს ასეთი მუშაკები?

გიორგი ხუბულავა,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

## მდგომარეობა სწორდება

სოფელ ოქტომბერში წლების მანძილზე გამოცვლას საჭიროებდა ელექტროხაზები, მავთულები, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ჰქონდა ელექტროგანათება. ეს საკითხი დადგა კოლმეურნეობის გამგეობის დღის წესრიგში.

ამჟამად მდგომარეობა სწორდება. სპეციალისტებმა ბ. კუკავას ხელმძღვანელობით შეძლეს თარგამულისა და შიდა უბნის ელექტროხაზების გამოცვლა. ელექტროხაზების გაყვანა გრძელდება ნაჭვისა და მუხურის უბნებში.

ამ სამუშაოს ხარისხიანად ასრულებენ ზ. ქირია (სამუშაოთა მწარმოებელი), გ. ნაჭყებია, ჟ. უბილავა, ტ. მიქავა, ჯ. შამუგია.

ა. შამუგია.

## როგორ დავიჯეროთ?

მარქსის ქუჩაზე მდებარე №8 სახლის წინ, სადაც ქვეითად მოსიარულეთა რიცხვმრავლობაა, წელიწადზე მეტია თავღიაა საკანალიზაციო ჭა. იგი იმდენად ღრმაა, რომ შიგ თუ ვინმე ჩავარდა (ღმერთმა ყველა დაიფაროს!), უბედურებას არ ასცდება.

როგორ დავიჯეროთ, რომ ეს „წვრილმანი" ვერ შეამჩნიეს იმ სამსახურის მუშაკებმა, რომლებსაც მსგავსი საკითხების მოწესრიგება ევალებათ?

ჯ. იოზიძე.

### ქ. ზუგდიდის კოოპერატივების ასოციაციის წევრი კოოპერატივების საყურადღებოდ!

ქ. ზუგდიდის კოოპერატივების ასოციაციის გამგეობა თავის წევრ კოოპერატივებს აცნობებს, რომ მათთვის გამოყოფილია ფართო მოხმარების საგნებისა და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენის ლიმიტი. მათ შორის: საკერავი და სარეცხი მანქანები, ვიდეომაგნიტოფონები, ფერადი ტელევიზორები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების კომპიუტერები. ეტლიანი მოტოციკლი, მინიტრაქტორები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდის კოოპერატივების ასოციაციის გამგეობა, ლენინის 9.

ქ. ზუგდიდის კოოპერატივების ასოციაციის გამგეობა.

დედა ფუფული, მეუღლე ციცო ჭავჭანიძე, შვილები: ევგენი, მაია, ფატიმა, ეკა. სიძე ნიკო ჯიმშელეიშვილი, ბაძია ბოჩია ხუბულავა, მზახლევი ნიურა, რეზო ჯიმშელეიშვილები, დეიდები სონია, ლებე ლურწკაიები, მაჭუტი ხუბულავა, ქვისლი სერგო ბობოხიძე, ბიცოლები: ჟუნა ხუბულავა, გული ლურწკაია. მამიდაშვილი მურთაზ დგებუაძე, ბიძაშვილები: ნაირა, გურამი დგებუაძეები, ციური, ცისმა, ნინა ლურწკაიები, მურმანი ჟორდანია, აზა. ნუგზარი. ზურიკო. ლენგიზი, გიგლა ხუბულავები, ცოლისძმისშვილი ივერიკო ჭავჭანიძე, ცოლისდისშვილები: ვალოდია, შალვა ბობოხიძეები, დეიდაშვილები ფენიკო, ლევთერი. ინდიკო. ზურიკო. ქეთო, ფირუზა, მანანა ლაგვილავები, ნუნუ. დინარა, თინა რაფავები იუწყებიან

ანზორ გენოს ძე დგებუაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29, 30 ივნისს. დაკრძალვა 1 ივლისს სოფელ კოკში.

შვილები: ელგუჯა, ბედიშა, ამალია, ნონა, ნანუ, ძმა მიშა მორგოშია, და ოლღა, რძლები: ნინო, ნუცა, თამარა, ზინა მორგოშიები, ნუცა, ჟუნა ჭიჭალუები, სიძეები რუბენ კალანდია, რამინ ბულია, გენო ქუთელია, შვილიშვილები ნანა, ალიკა, მარტა, ჯემალი, ბესიკი, ჰამლეტი, იზა. ძმისშვილები: ჯუმბერი, რევაზი, გენო, გენადი, ძაბული, ეთიკო, ნაირა. ეთერი, ელენა, გული. ნარგიზა. ლუნტო, ნელიკო, დისშვილები ბაჭუში, ნათაკო, თალიკო ჩუხუები, ნაპო კაკუა, მაზლი იროდი ჭიჭალუა, მაზლიშვილები: ზაირა კვარაცხელია, ვაჟიკო, ფერიდე ნინუები ოჯახებით იუწყებიან

ლენა თადას ასულ მორგოშია-ჭიჭალუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29, 30 ივნისს. დაკრძალვა 1 ივლისს ტყაიაში.

მეუღლე ეთერი, დედა ზინა, შვილები: ცისანა, მანანა, ნატო, ფატიმა, თენგიზი, რიმა, ძმები: გოგი, ბოჩო ჯიჭონაიები, და თალიკო, რძლები: ნანა ხუბულავა, ნათელა თოლორაია, ბიძია თეოფანე ჭკადუა, სიძეები: ზურა კეზუა, ზური სამუშია, მურმანი ბერაძე, რამინი მებონია ოჯახებით იუწყებიან

მერი ანდრის ასულ ჯიჭონაია-ფიფიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 29 ივნისს, დაკრძალვა 30 ივნისს, სოფელ რუხში (ნაწულუკუ).

მამიდაშვილი ლარისა გარდავა, სიძე ბორისა წურწუმია შვილით სალომეთი იუწყებიან

თორნიკე საშას ძე ცირდავას გარდაცვალებას.

რედაქტორი
აკ. ფანტურია.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 62 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის— 2-33-69, პასუხისმგ. მდივნის — 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2 47-06

საქ. სსრ გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 68 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3187